



შპს ექვთიმე თაყაიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო უნივერსიტეტი

შპს-ექვთიმე თაყაიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქცია.

მუხლი 1. სამაგისტრო ნაშრომი

1. შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) სამაგისტრო ნაშრომი (შემდგომში - ნაშრომი) წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. ნაშრომი პროგრამის კვლევითი კომპონენტია;
2. ნაშრომის შესრულება სტუდენტს შეუძლია დამამთავრებელ სემესტრში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში;
3. ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა, დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის უნარის გამომუშავება, სწავლის პერიოდში გამომუშავებული უნარ-ჩვევების არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარების და ზოგადად, პრობლემის ხედვისა თუ შეფასების, გადაჭრის გზების, საშუალებებისა და ხერხების შერჩევის შესაძლებლობების სრულყოფა;
4. ნაშრომზე მუშაობამ სტუდენტს უნდა გაუღრმავოს კვლევის თანამედროვე მეთოდების, სამეცნიერო, სტატისტიკური და სხვა ინფორმაციული წყაროების გამოყენების უნარ-ჩვევები.

მუხლი 2. შედეგები:

1. ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის კომპეტენციების და დამოუკიდებლად კვლევის განხორციელების უნარის შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამით დაგეგმილ შედეგებთან და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მაგისტრის კომპეტენციებთან.
2. სტუდენტმა ნაშრომში უნდა გამოავლინოს, რომ:
 - ა) აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
 - ბ) შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადანყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
 - გ) შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების

ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

- დ) შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- ე) შეუძლია სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და დამოუკიდებლად წარმართვა; სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და გამომუშავებული აქვს სწავლის პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;
- ვ) იცავს სფეროსთან დაკავშირებული ეთიკური თუ პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

მუხლი 3. შეფასება

1. სასწავლო კურსში შეფასება ეყრდნობა სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ ზოგადი შეფასების რეგულაციებს;
2. ნაშრომის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით;
3. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
4. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დასკვნითი შეფასება მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას (30 ქულა), რეცენზენტის შეფასებას (20 ქულა) და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას საჯარო დაცვაზე (50 ქულა).
5. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 45% (45 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.
6. დასკვნითი შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შემდეგნაირადაა განსაზღვრული:
 - ა) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 40%-ს. შესაბამისად, სტუდენტის შეფასება ამ კომპონენტში უნდა იყოს მინიმუმ 12 ქულა შესაძლო 30 ქულიდან.
 - ბ) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 40%-ს. შესაბამისად, სტუდენტის შეფასება ამ კომპონენტში უნდა იყოს მინიმუმ 8 ქულა შესაძლო 20 ქულიდან.
 - გ) საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%-ს. შესაბამისად, სტუდენტის შეფასება ამ კომპონენტში უნდა იყოს მინიმუმ 25 ქულა შესაძლო 50 ქულიდან.
7. საჯარო დაცვაზე დაშვების პირობაა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

8. სტუდენტის, რომელმაც გადალახა სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მიიღო 45 და მეტი ქულა), მაგრამ სასწავლო კურსში ვერ დააგროვა 51 ქულა, დაიშვება დამატებით დაცვაზე; მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

9. დამატებით დაცვაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

10. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

11. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე (45 ქულა) ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

12. ნაშრომების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განწერილია შესაბამის სილაბუსებში;

13. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება შეიძლება ამ მუხლის მე-14 ან მე-15 პუნქტით განსაზღვრული სისტემით.

14. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ)(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

15. შეფასების შედეგების უკმაყოფილების შემთხვევაში / შეფასების გასაჩივრების მიზნით სტუდენტს შეუძლია წერილობითი ფორმით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს შედეგების გამოცხადებიდან სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4 პროცედურა

1. ნაშრომი სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სამაგისტრო პროგრამის მე-4 სემესტრში.

2. სემესტრის დაწყებისთანავე, სტუდენტებმა უნდა აირჩიონ ხელმძღვანელები, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართონ მიმართულების ხელმძღვანელს.

3. ამავე პერიოდში უნდა შეირჩეს სამაგისტრო თემები და დამტკიცდეს

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

4. დაცვამდე ერთი კვირით ადრე, ნაშრომი, ხელმძღვანელის დასკვნა და შეფასება, და ნაშრომის ელექტრონული ვერსია (არქივირების მიზნით) უნდა ჩაბარდეს ფაკულტეტს.

5. ნაშრომის დაცვის თარიღს განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო და დაცვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას დაცვის თარიღის, დროისა და აუდიტორიის შესახებ.

მუხლი 5. ნაშრომის ხელმძღვანელი

1. ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), დოქტორის ხარისხის მქონე მონვეული სპეციალისტი.

2. ნაშრომის ხელმძღვანელად, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის არმქონე პირი, რომელიც გამოირჩევა დარგში მოღვაწეობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებითა და მაღალი კვალიფიკაციით.

3. ნაშრომის ხელმძღვანელი მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე. რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი.

4. ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა:

ა) კონსულტაციები გაუწიოს სტუდენტს თემის შერჩევაში, მისცეს რეკომენდაციები გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და რეკომენდაციები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში მისცეს რეკომენდაციები მისი კორექციისთვის;

ბ) შეათვასოს სტუდენტის მიერ გაწეული მუშაობა შესაბამის სილაბუსში მოცემული წესით;

5. ხელმძღვანელის სტუდენტთან მუშაობა შესაძლებელია განხორციელდეს პირადად, ან დისტანციურად.

6. ხელმძღვანელმა ნაშრომის დასრულების შემდეგ უნდა მოამზადოს დასკვნა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ნაშრომის დასათაურებას;

ბ) ავტორის ვინაობას;

გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;

დ) ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით;

ე) ნაშრომის ზოგად შეფასებას;

ზ) პირად დასკვნა-რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად.

7. დასკვნა წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ორ გვერდზე, A4 ფორმატით, სრული აბზაცებით – თითო სტრიქონის დაშორებით, "სილთაენი" შრიფტით, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა – 14, ძირითადი ტექსტისა – 12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2სმ.

8. სტუდენტის შეფასება და დასკვნა საჯარო დაცვამდე ერთი კვირით ადრე უნდა ჩაბარდეს შესაბამის ფაკულტეტს.
9. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ესწრება, სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას.
10. ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე როგორც მუშაობის დანწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მან წერილობით, სათანადო არგუმენტაციით უნდა მიმართოს შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელს, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მუშაობის დანწყებიდან.

მუხლი 6. ნაშრომის თემა

1. ნაშრომის თემას სტუდენტი ირჩევს ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;
2. ნაშრომის თემის სახელწოდების შეთანხმება სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან უნდა მოხდეს მეოთხე სემესტრის დასაწყისში;
3. ნაშრომის თემის არჩევის შესახებ სტუდენტი შესაბამისი განცხადებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. განაცხადში მითითებული უნდა იყოს თემის სახელწოდება და ნაშრომის ხელმძღვანელი;
4. ნაშრომის თემას ამტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი;
5. ნაშრომის თემის შეცვლა ან სათაურში ცვლილებების შეტანა დასაშვებია საკვლევი თემის დამტკიცებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში და ხელმძღვანელის წარდგინებით მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე.

მუხლი 7. რეცენზენტი

1. ნაშრომს ენიშნება რეცენზენტი, რომელსაც ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო და გადანყვეტილება მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი. რეცენზენტი შეიძლება იყოს როგორც სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელი, ისე მონვეული პირი. რეცენზენტად შეიძლება შერჩეულ იქნას პირი, რომელსაც ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი ნაშრომში განხილული თემატიკის შესაბამის სფეროში ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სპეციალური განათლება ან პროფიტი გამოცდილება.
2. რეცენზენტის დასწრება საჯარო დაცვაზე არ არის აუცილებელი, თუმცა საბჭოს ან სტუდენტს შეუძლია მისი მონვევა, ისე როგორც რეცენზენტს შეუძლია მოითხოვოს სხდომაზე დასწრება.
3. რეცენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით, A4 ფორმატით, შრიფტი "სილფაენი", სათაურებისა და ქვესათაურების ზომა -14, ძირითადი ტექსტის ზომა – 12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2სმ.
4. რეცენზია, არანაკლებ ორი გვერდისა, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) ნაშრომის დასათაურებას;
 - ბ) ავტორის ვინაობას;
 - გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვას;
 - დ) ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას შენიშვნებისა და

რეკომენდაციების მინიშნებით;

ე) ნაშრომის ზოგად შეფასებას;

ვ) პირად დასკვნას სამაგისტრო ხარისხის მინიჭება-არმინიჭების შესახებ.

5. სტუდენტის შეფასება და დასკვნა დაცვამდე სამი დღით ადრე უნდა ჩაბარდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

მუხლი 8. ნაშრომის დაცვის კომისია

1. ნაშრომის დაცვის კომისია მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატურების გათვალისწინებით;

2. კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის შესაბამისი დარგის სპეციალისტები – პროფესორების შემადგენლობიდან და დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე ან პროფესიული გამოცდილების მქონე სპეციალისტები, ასევე ადმინისტრაციის წევრები და მონვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია;

3. კომისიის წევრებს შორის ერთ-ერთს ეკისრება თავმჯდომარის მოვალეობა და მტკიცდება კომისიის წევრებთან ერთად; კომისიის სხდომების ოქმებს აწარმოებს პასუხისმგებელი მდივანი.

4. სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მონვეულ იქნენ პოტენციური დამსაქმებლები;

5. სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ დამსწრეთა რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის ორ მესამედს მაინც;

6. დაცვის პროცედურის დოკუმენტაციის (სხდომის ოქმი, უწყისები) წარმოებაზე პასუხისმგებელია კომისიის მდივანი;

7. ნაშრომის ხელმძღვანელი დაცვას ესწრება სათათბირო ხმის უფლებით;

8. რეცენზენტი დაცვას ესწრება სათათბირო ხმის უფლებით;

9. საჯარო დაცვაზე ნაშრომი ფასდება 50 ქულით, რომელიც არის კომისიის თითოეული წევრის შეფასების საერთო არითმეტიკული. სათათბირო ხმის უფლების მქონე წევრები შეფასების პროცედურაში არ იღებენ მონაწილეობას;

10. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელიც წარედგინება შესაბამისი სკოლის საბჭოს და მხედველობაში მიიღება აკადემიური ხარისხის მინიჭების დროს;

მუხლი 9. ნაშრომის დაცვის პროცედურა

1. ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ სტუდენტი იწყებს ნაშრომის დაცვას;

2. ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:

ა) ნაშრომის წარდგენას (მაქსიმუმ 15 წუთი);

ბ) კითხვა-პასუხს;

გ) ხელმძღვანელის და რეცენზენტის დასკვნის გაცნობას.

3. დაცვის პროცედურა გულისხმობს, აგრეთვე, ნაშრომის შეფასებას, რომლის დროსაც სხდომა დამსწრეთათვის იხურება;

4. ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს;
5. ნაშრომის დასკვნითი შეფასება მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის შეფასებას და ნაშრომის საჯარო დაცვაზე შეფასებას და ხორციელდება ამ დოკუმენტის მე-3 მუხლის შესაბამისად;
6. ნაშრომის დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, დამატებით ერთხელ გავიდეს ნაშრომის დაცვაზე შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.
7. საჯარო დაცვის მიმდინარეობით უკმაყოფილების ან მასთან დაკავშირებული სხვა პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, იუნკერს შეუძლია იმავე დღეს წერილობითი სახით მიმართოს სკოლის დირექტორს საჯარო დაცვის მიმდინარეობისას წარმოქმნილი პრობლემების შესწავლის მიზნით

მუხლი 10. ნაშრომის დამატებითი დაცვა

1. ნაშრომის დამატებითი დაცვის თარიღს განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო და დაცვამდე არანაკლებ ხუთი დღით ადრე აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას დამატებითი დაცვის თარიღის, დროისა და აუდიტორიის შესახებ.
2. სტუდენტი, რომელიც არ გამოცხადდება დამატებით დაცვაზე, შეფასდება 0 ქულით.
3. სტუდენტის მიერ საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის/დამატებითი დაცვის აღდგენაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად, სტუდენტმა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს უნდა მიმართოს შესაბამისი განცხადებით, რომელშიც დასაბუთებული იქნება გაცდენის საპატიო მიზეზი. ამგვარის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება დაცვის ჩატარებიდან გონივრულ ვადაში შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადანიშნულებით.
4. სტუდენტს, რომელმაც ვერ დაიცვა ნაშრომი, სწავლების თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ მიეცემა სათანადო მონაშობა (აკადემიური ცნობა) სასწავლო კურსების, მიღებული შეფასებების და კრედიტების მითითებით;
5. დაცვის შემდეგ ერთი თვის ვადაში შესაბამისი ფაკულტეტი ვალდებულია ნაშრომი გადასცეს სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიას.

მუხლი 11. ნაშრომის გაფორმების წესი

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

- 1) ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს A4 80–100 გვერდი, შრიფტი – ”სილფაენი”, ზომა - 12, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14-16, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2სმ.
2. ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:
 - ა) თავფურცელი - ნაშრომის პირველი გვერდი;
 - ბ) ანოტაცია - არაუმეტეს ერთ გვერდზე უნდა ასახავდეს ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას;
 - გ) შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანა (ამოცანები); საკვლევი

საგანი და გამოყენებული მეთოდები (ექსპერიმენტული კვლევის შემთხვევაში);
დ) ტექსტის ძირითადი ნაწილი – შეიძლება დაიყოს თავებად და პარაგრაფებად; ყველა ახალი თავი იწყებოდეს ახალი გვერდიდან.

ე) დასკვნა - უნდა ასახავდეს ნაშრომის შედეგებს;

ვ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე.

3. ნუსხაში უნდა მიეთითოს:

ა) პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები;
- ნაშრომის სახელწოდება, გამომცემლობა წელი;
- სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტი); ტომის ნომერი; გამოცემის ნომერი;
- გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი.

ბ) წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები;
- გამოცემის წელი;
- სახელწოდება (დახრილი შრიფტი);
- გამოცემის ადგილი;
- გამომცემლობა.

გ) ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:

- მასალის ავტორი; _ ვებ-გვერდის ავტორი;
- მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით;
- ვებ-გვერდის მისამართი;
- მასალის მოძიების თარიღი. ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:
- სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები);
- წელი;
- სტატიის დასახელება;
- ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტი);
- გამოცემის ნომერი;
- თავი, პარაგრაფი (ინერება ფრჩხილებში);
- ვებ-გვერდის მისამართი;
- მასალის მოძიების თარიღი.

დ) სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- ქვეყნის დასახელება;
- უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი;
- წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი;
- დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი...);
- დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით;
- ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი;
- გამოცემის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი.

4. ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი. მაგ.: (15, 150-161).
5. ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი ანოტაცია სარჩევი შესავალი თავები დასკვნა; გამოყენებული ლიტერატურა; დანართები.
6. ნაშრომის დაცვის კომისიას უნდა წარედგინოს ნაშრომის ერთი ეგზემპლარი და ნაშრომის ელექტრონული ვერსია ბიბლიოთეკაში არქივირების მიზნით.
7. ნაშრომის დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება არაუმეტეს 15 წუთით.
8. დაცვის პროცესში იუნკერმა უნდა გამოიყენოს საილუსტრაციო მასალა.

მუხლი 12. პლაგიატის დაუშვებლობა

1. პლაგიატი plagiatus (ლათ.-მიტაცებული) ნიშნავს ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების, სტატისტიკური მონაცემების, კვლევის შედეგების და სხვა. გამოყენებას არასათანადო წესებით (ნაბეჭდი ან ელექტრონული წყაროს მითითების გარეშე);
2. პლაგიატი შეიძლება იყოს განზრახული ან უყურადღებობით დაშვებული;
3. პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე, ან იხსნება დაცვიდან, და ეძლევა გასწორებისა და დამატებით დაცვაზე გასვლის უფლება.